საქართველო

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

ქ.ზუგდიდი

07/07/2017

186-04-4-201707071556

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

გრძანება N 186

დემონტაჟის პროექტის შეთანხმების შესახებ

განცხადება: №04/5693
შემოსვლის თარიღი: 07.06.2017
ობიექტის მისამართი: ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. №146
დამკვეთი-განმცხადებელი: სსიპ ქალაქ ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის დირექტორი ია კერზაია
მიწის ნაკვეთის საკადასტრო ამონაწერი: №43/31/72/043
სამშენებლო დოკუმენტი: სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 აგვიტოს №31 დადგენილების შესაბამისად და ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო"-ს 2015 წლის 18 დეკემბრის MES 3 15 01316674 წერილის, ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგანტო"-ს 2016 წლის 04 მარტის №5/10444 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნეს, სსიპ ,,ქალაქ ზუგდიდის №6 საჯარო სკოლა"-ს მიერ წარმოდგენილი ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. №146-ში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 9461.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი №43/31/72/043) ნაკვეთზე მოსარგებლე ,,ზუგდიდის №6 საჯარო სკოლა"-ს სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობების (№3 ყოფილი საქვაბე განაშენიანების ფართით 50.01 კვ.მ) და (№4 ყოფილი სასროლეთი განაშენიანების ფართით 136.04 კვ.მ) დემონტაჟის არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტი.

2. ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

   №3 ყოფილი საქვაბე
   - განაშენიანების ფართობი 50.01 კვ.მ

2100 ზუგდიდი. ზვიად გამსახურდიას გამზ. 45, ტელ: (0 415) 25 57-01 E- mail: zugdidi.meria@gmail.com

№4 ყოფილი სასროლეთი

- განაშენიანების ფართობი 136.04 კვ.მ

3. ნომენკლატურა:
   - სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი
   - II კლასი
   - შეთანხმება

4. დამკვეთი ვალდებულია წარმოადგინოს განცხადება მშენებლობის ნებართვის მისაღებად მშენებლ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ.
5. სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე
7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. №12)

ირაკლი გოგოხია

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა